ტვინების ბრძოლა
რეგიონული პირველობა | გაზაფხული 2025
U5 (III, IV, V კლასები)
27 აპრილი

1. 5-ქულიანი შეკითხვა
მიწის შემსწავლელ მეცნიერებას გეოლოგია ეწოდება. ამიტომ, ერთმა ინგლისურ ენაზე მოსაუბრე ადამიანმა ივარაუდა, რომ ამ ქვეყნის სახელი მიწასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ ქვეყანამ თავის ისტორიაში პირველად იასპარეზა 2024 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე. დაასახელეთ ეს ქვეყანა.

პასუხი: საქართველო
კომენტარი: გეოლოგია მიწას შეისწავლის. ინგლისურენოვანმა ინტერნეტმომხმარებელმა ივარაუდა, რომ ქვეყნის სახელი "Georgia" რაღაცით უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მიწასთან. საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა გასულ წელს პირველად იასპარეზა ევროპის ჩემპიონატზე.

2. 6-ქულიანი შეკითხვა
იქსი აღმოსავლურ კულტურაში მნიშვნელოვანი საგანია, ამიტომ მფრინავი იქსის ცნება სპარსულ და არაბულ ზღაპრებთან არის დაკავშირებული. მნიშვნელოვანი ადამიანების შეკრებისას და სხვა ცერემონიების დროს იატაკზე ხშირად წითელ იქსს ვხვდებით ხოლმე. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: ხალიჩა
კომენტარი: სპარსულ და არაბულ თქმულებებსა და ზღაპრებში გმირები ხშირად დაფრინავენ ხალიჩით. წითელი ხალიჩა მნიშვნელოვანი ცერემონიებისა და ღონისძიებების დროს გამოიყენება.

3. 7-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

ბოლო წლებში შეერთებულ შტატებში პოპულარული გახდა იქსების გაშვება ქორწილებსა და დაბადების დღეებზე წვრილი ფერადი ქაღალდების ნაცვლად. იმის მიუხედავად, რომ მასალაზე გამოსახულ თევზებს ფრენა არ შეუძლიათ, მათ ხშირად მოიხსენიებენ იქსებად. დაასახელეთ იქსი ექვსასოიანი სიტყვით.

პასუხი: პეპელა
კომენტარი: წვრილი ფერადი ფურცლები, ანუ ე.წ "კონფეტი", გარემოს ძალიან აბინძურებს, ამიტომ მისი გასროლის ნაცვლად დღესასწაულებზე ჭრელი პეპლების გაშვების ტრადიცია დაამკვიდრეს. მასალაზე გამოსახული თევზების ვიზუალი პეპლის ფრთებს წააგავს, ამიტომ პეპელა-თევზსაც

უწოდებენ. ჩვენ განზრახ გაჩვენეთ ორი პეპელა-თევზი გვერდიგვერდ, რათა ფრთების ილუზია შეგვექმნა.
წყარო: https://butterflyreleasecompany.com/Article/Why-throw-confetti
https://www.liveaquaria.com/category/25/

4. 5-ქულიანი შეკითხვა
სიტყვებით "ასეთი" და "ისეთი" შეცვლილია თითო-თითო სიტყვა.
ლორდი მინიმუსი იყო ყველაზე ისეთი რაინდი ბრიტანეთში. მეორე მხრივ, ისტორიაში ყველაზე ასეთი ადამიანის მეტსახელში შედიოდა სიტყვა "გიგანტი". დაასახელეთ "ასეთი" და "ისეთი" თანაბარი რაოდენობის ასოების მქონე სიტყვების გამოყენებით.

პასუხი: მაღალი; დაბალი
კომენტარი: "მინიმუსი" დამატებითი მინიშნება იყო მცირე ზომაზე, ხოლო "გიგანტი" - განსაკუთრებულ სიმაღლეზე.

5. 6-ქულიანი შეკითხვა
საინტერესოა, რომ კალათბურთელ სპად ვებს, რომლის სიმაღლეც 1 მეტრი და 68 სანტიმეტრია, მოგებული აქვს ჩატენვების კონკურსი. საქმე ისაა, რომ ვებს ჰქონდა ძალიან მაღალი იქსი. ცხოველთა სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი იქსით კენგურუ გამოირჩევა. დაასახელეთ იქსი მაქსიმალურად ზუსტად.

პასუხი: ნახტომი
ჩათვლა: აზრობრივად ზუსტი პასუხები
კომენტარი: სპად ვები კალათბურთისთვის არცთუ დიდი სიმაღლით გამოირჩეოდა, მაგრამ მაღალი ნახტომის ხარჯზე ბურთის კალათში ჩატენვას ახერხებდა. კენგურუები გადახტომისას 9 მეტრამდე მანძილს ფარავენ.

6. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთ ინგლისურენოვან სტატიაში იქსი მოხსენიებულია, როგორც "ბეჭდების მბრძანებელი". იქსი დიდწილად გაზისგან შედგება, ამიტომ თუ მას გიგანტურ აუზში მოვათავსებთ, ის იტივტივებს. დაასახელეთ იქსით შეცვლილი პლანეტა.

პასუხი: სატურნი
კომენტარი: ინგლისურ სტატიაში სატურნი მოიხსენიეს, როგორც "ბეჭდების მბრძანებელი", რადგან სატურნს აქვს რგოლები. ინგლისურ ენაში სიტყვა "Ring" ნიშნავს ბეჭედსა და რგოლსაც. სატურნი გაზის გიგანტია, ამიტომ წყალში არც კი ჩაიძირებოდა. კითხვის ნომერი დამატებითი მინიშნება იყო, რადგან სატურნი მზიდან დაშორებით მეექვსე პლანეტაა.

7. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

ერთი ბრიტანული ეკლესიის ფანჯარაზე არსებული ეს გამოსახულება ეძღვნება ბავშვებს, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომის დროს დიდი მანძილის გავლა მოუწიათ. ერთი ვერსიით, სწორედ ეს გამოსახულება გახდა ცნობილი სამხრეთ ამერიკელი პერსონაჟის შექმნის შთაგონების წყარო. ამ პერსონაჟს ძალიან უყვარს ხილისგან დამზადებული ტკბილეული. დაასახელეთ ეს პერსონაჟი.

პასუხი: პადინგტონი
კომენტარი: ვიტრაჟზე გამოსახული ბიჭუნა ძალიან ჰგავს დათვი პადინგტონის აღწერილობას, რომელიც ინგლისში სამხრეთ ამერიკის ქვეყანა პერუდან ჩავიდა. ერთი ვერსიით, ეს ვიტრაჟი გახდა პადინგტონის შექმნის შთაგონების წყარო. პადინგტონს ძალიან უყვარს მარმელადი.
წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Paddington_Bear
https://en.wikipedia.org/wiki/Evacuations_of_civilians_in_Britain_during_World_War_II

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეული გუნდის სათამაშო მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოაზროვნე.]
ერთ ნაწარმოებში ვხვდებით პერსონაჟს, რომლის სახელიც ზღაპრის ცნობილი პერსონაჟის სახელს ემთხვევა. საინტერესოა, რომ ნაწარმოებში ამ პერსონაჟს მგლად გადაქცევა შეუძლია. დაასახელეთ ეს პერსონაჟი, თუ გეტყვით, რომ მის სახელში ფიგურირებს ფერიც.

პასუხი: წითელქუდა
კომენტარი: სიმბოლურია, რომ მგელთან მჭიდროდ დაკავშირებულ ზღაპრის გმირს სხვა ნაწარმოებში მგლად გადაქცევაც კი შეუძლია.

9. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთ ნაწარმოებში გემზე შეპარული ბოროტმოქმედი ცდილობს, გემი გზას ააცდინოს. ამ მიზნით ის მაგნიტის ნაჭერს დადებს იქსთან ახლოს. ცოტა ხნის შემდეგ გემის კაპიტანი იქსს შეამოწმებს და სასწრაფოდ შეცვლის მიმართულებას. დაასახელეთ იქსი შვიდასოიანი სიტყვით.

პასუხი: კომპასი
კომენტარი: ბოროტმოქმედი ცდილობს, გემის ეკიპაჟს აფიქრებინოს, თითქოს გემი არასწორი გზით მიდის. ის მაგნიტის ნაჭერს დადებს კომპასთან ახლოს, რადგან კომპასი მაგნიტთან მიახლოების დროს არასწორად მუშაობს. ბოროტმოქმედის გეგმა გაამართლებს და კაპიტანი დაიჯერებს, რომ გემმა გზას გადაუხვია, რის შემდეგაც ის მიმართულებას შეცვლის და მართლა გადაუხვევს სწორი მარშრუტიდან.

10. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთ ნაწარმოებში ჯადოქრის სპეციფიკური, წაწვეტებული ქუდი შეადარეს იქსს. საინტერესოა, რომ იქსის ტიპის ნაგებობები ეგვიპტის გარდა სხვა ქვეყნებშიც გვხვდება, მათ შორის სუდანსა და მექსიკაში. დაასახელეთ იქსი რვაასოიანი სიტყვით.

პასუხი: პირამიდა
კომენტარი: ჯადოქრის წაწვეტებული ქუდი, რომელსაც წრიულის ნაცვლად კვადრატული ძირი ჰქონდა, შეადარეს ასეთივე ფორმის მქონე ობიექტს - პირამიდას. პირამიდები არამხოლოდ ეგვიპტეში გვხვდება.

11. 6-ქულიანი შეკითხვა
მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყოველ 26 წამში ერთხელ დედამიწის გულიდან შეინიშნება მსუბუქი ვიბრაცია, რომელსაც მეცნიერებმა დედამიწის იქსი შეარქვეს. იქსის სიხშირე იზრდება ვარჯიშის ან ნერვიულობის დროს. დაასახელეთ იქსი ერთი სიტყვით.

პასუხი: გულისცემა
ჩათვლა: აზრობრივად
კომენტარი: ზოგიერთი მეცნიერის ცნობით, დედამიწის სიღრმიდან ზუსტად 26 წამში ერთხელ თანაბარი სიძლიერის ენერგიის ტალღა მოდის, რომელსაც მეცნიერებმა დედამიწის გულისცემა შეარქვეს. დედამიწის გულის ხსენება დამატებითი მინიშნება იყო. ვარჯიშის ან ძლიერი ემოციური ფონის დროს გული გვიჩქარდება.

12. 7-ქულიანი შეკითხვა
გასულ წელს შექმნილ ერთ სახუმარო პოსტერზე თორმეტიდან ერთ-ერთი ითხოვს კიდევ ერთ დამატებით დღეს. შეიძლება ითქვას, რომ ეს სახუმარო პოსტერი კვლავ აქტუალური გახდება 2028 წელს. დაწერეთ ცხრაასოიანი სიტყვა, რომელიც შევცვალეთ სიტყვებით “თორმეტიდან ერთ-ერთი”.

პასუხი: თებერვალი
კომენტარი: ხუმრობა დაფუძნებული იყო იმ ფაქტზე, რომ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, ნაკიანი წლის დროს, თებერვალს ერთი დღე ემატება. “თორმეტიდან ერთ-ერთი” მინიშნება იყო თვეებზე, რადგან წელიწადში თორმეტი თვეა. ბოლო ნაკიანი წელიწადი გასულ წელს იყო, მომდევნო კი 2028 წელს იქნება.

13. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთი ფსიქოლოგი, რომელიც პადინგტონის სახელობის საავადმყოფოში მუშაობდა, მშობლებს ურჩევდა ბავშვებისთვის სათამაშო იქსების შეძენას. მისი თქმით, ეს ნივთი ფანტაზიის განვითარებასა და რეალური სამყაროს აღქმაში დიდ როლს თამაშობს. ერთ ნახატზე სათამაშო იქსი მამაცურად იცავს მძინარე ბავშვს ღამის ურჩხულებისგან. დაწერეთ იქსი ერთი სიტყვით.

პასუხი: დათვი
ჩათვლა: დათუნია
კომენტარი: საინტერესო დამთხვევაა, რომ ფსიქოლოგი, რომელიც დიდ რეკომენდაციას უწევდა სათამაშო დათვების შეძენას, სხვა პადინგტონის სახელობის საავადმყოფოში მუშაობდა. მისი

თქმით, ბავშვი დათუნიას გარკვეულ ხასიათსა და პიროვნულ თვისებებს ანიჭებს, რაც ემპათიის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.
წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Donald_Winnicott
https://imgur.com/B7UwM

14. 6-ქულიანი შეკითხვა
ერთი მასწავლებელი დაუღალავად ცდილობდა, მოსწავლეებისთვის საინტერესო სპორტული აქტივობა მოეფიქრებინა. დაწერილი გეგმებით უკმაყოფილო მასწავლებელი ფურცლებს კუჭავდა და ნაგვის ურნაში ისროდა. ერთი ვერსიით, მასწავლებელს იქსის შექმნის იდეა აქედან დაებადა. დაწერეთ იქსი ერთი სიტყვით, თუ გეტყვით, რომ დღეს ის უკვე ვახსენეთ.

პასუხი: კალათბურთი
კომენტარი: ბურთის ფორმაზე დაკუჭულმა და მრგვალ ნაგვის ურნაში მოსროლილმა ქაღალდებმა მასწავლებელს კალათბურთის შექმნა შთააგონა. კალათბურთი უკვე ვახსენეთ დღევანდელ მეხუთე შეკითხვაში.
წყარო: https://philately.ru/static/userfiles/zagadki.pdf

15. 7-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

საფეხბურთო კლუბმა “ატლეტიკო ბელგრანომ” სახელი მიიღო მანუელ ბელგრანოს პატივსაცემად. საინტერესოა, რომ მანუელ ბელგრანომ, კლუბის ლოგოს გარდა, ასევე შექმნა იქსი. 2022 წელს იქსი მრავლად შეგვეძლო გვენახა ერთ არაბულ ქვეყანაში, საფეხბურთო ღონისძიებისას. დაწერეთ იქსი ორი სიტყვით.

პასუხი: არგენტინის დროშა
კომენტარი: ესპანურენოვანი სახელით შეგეძლოთ მიმხვდარიყავით, რომ საუბარი იყო სამხრეთ ამერიკაზე. მანუელ ბელგრანომ შექმნა როგორც ამ კლუბის ლოგო, ისე - არგენტინის დროშაც, და ორივე შემთხვევაში თეთრი და ცისფერი ფერები გამოიყენა. 2022 წელს არგენტინის საფეხბურთო ნაკრებმა კატარში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის მოგება შეძლო.
წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Club_Atlético_Belgrano
https://en.wikipedia.org/wiki/2022_FIFA_World_Cup